1758/2 16876
საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 თებერვალი

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. [illegible] 20 [illegible]

ფასი 10 კ.

№ 28 რუსეთის ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 28

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე „ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბანვორი კრივ“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით — **12** მან., ერთი თვით — **2** მან.

## მიმართვა თფილისში ახლად ჩამოსულ წითელგვარდიელებისადმი.

ამხანაგებო წითელგვარდიელებო! გასული წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში პეტერბურგის პროლეტარიატმა რევოლიუციონური ჯარის დახმარებით მეფის მთავრობა დაამხო და ამასთან ერთათ პროლეტარიატმა და ჯარმა მაშინვე შექმნეს თავისი საკუთარი [illegible] ბის და ჯარის კაცების დეპუტატების საბჭოები. ასეთი საბჭოები ელვის სისწრაფით გაჩნდენ ყოველგან, პეტროგრადში რევოლიუციის მოხდენის უწყების მიღებისთანვე. რევოლიუციის პირველ დღეებში მთელი ძალა-უფლება ბუნებრივათ მუშების, ჯარის კაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოთა ხელში გადავიდა. ამნაირათ ეს საბჭოები შეიქნენ რუსეთში რევოლიუციონური მთავრობის ერთათ ერთ უძლიერეს ორგანოთ.

მაგრამ ამ დროს არც ხალხის მტრებს — ბურჟუაზიას და მემამულეებს ეძინათ. სისხლის მსმელ მეფის ლაქიებს და მის ერთგულ დარაჯებს ახლა სხვა გზა აღარ დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ ხალხის წინაშე მათ თავი მოეკატუნებიათ და ხალხისთვის თავისი თავი ერთგულ მეგობრებათ მოეჩვენებიათ. მილიუკოვ-გუჩკოვები, როდზიანკო-ლვოვები სწორეთ ასე მოიქცენ და თავის მიზანს ხალხის მოტყუილებას კიდევაც მიაღწიეს: იმათ მოინდვეს დროებითი მთავრობის შედგენა. ამ მთავრობაში შედიოდენ მარტო ცნობილი კაპიტალისტები და მემამულეები, გარდა ერთი პირისა, ე. ი. კერენსკისა, რომელსაც სოციალისტათ მოჰქონდა თავი.

ამნაირათ რევოლიუციონური პროლეტარიატის და ჯარის მთავრობის გვერდით გაჩნდა მეორე მთავრობა. პირველი ორგანო მუშების, ჯარის კაცების და გლეხების, მეორე კი კაპიტალისტების და მემამულეების. ფაქტიურათ თითქმის მთელი ძალა-უფლება მუშების და ჯარის კაცების საბჭოების ხელში იყო. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა კი ნამდვილ ძალას და გავლენას მოკლებული იყო, პირველ ხანებში. დროებითი მთავრობა ამას კარგათ გრძნობდა, და მთელი მისი მოქმედება მიმართული იყო იქითკენ, რომ როგორმე სავსებით ჩაეგდო ხელში სახელმწიფოს მთელი ძალა-უფლება, რასაც საბჭოების გავლენის დაცემა ან მათი სრული გაუქმება უნდა მოყოლოდა. თავისთავათ იგულისხმება, რომ საბჭოებსა და დროებით მთავრობას შორის იმ თავითვე [illegible] ნელ-ნელა ბრძოლის ხასიათი მიიღო. აშკარაა, ორი მთავრობა ერთ და იმავე დროს ვერ იბოგინებდა: ან ერთი უნდა დაცემულიყო, ან მეორე, სხვა გზა არ იყო. სამწუხაროთ, რევოლიუციის პირველ ხანაში საბჭოების უმრავლესობა, რომელიც მენშევიკებიდან და ესერებიდან შესდგებოდა, სრულიად მრუდე და ყალბ ტაქტიკას დაადგა: საბჭოების უმრავლესობამ სრული ნდობა გამოუცხადა ბურჟუაზიულ მთავრობას; იმავე დროს ამ უმრავლესობამ თავისი ნებით ხელი აიღო სახელმწიფო ძალა-უფლებაზე და ის სავსებით დაუთმო ბურჟუაზიულ მთავრობას. საბჭოს შერჩა მხოლოთ აჩრდილი ამ ძალა-უფლებისა, ე. ი. გარეგანი კანტროლი ან თვალყურის დევნება ბურჟუაზიული მთავრობისათვის.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული მთავრობისათვის ასეთი კანტროლიც აუტანელი იყო. ამიტომ ის ეძებდა ყოველივე საბაბს, რომ როგორმე აქედან თავი განეთავისუფლებია. სხვადასხვა პროვოკაციონული ზომებით დროებითმა მთავრობამ თითქმის სავსებით მიაღწია თავის მიზანს: უწინარეს ყოვლისა მან ჩაითრია სამინისტროში პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს რამდენიმე წარმომადგენელი (მენშევიკები წერეთელი და სკობელევი, ესერი ჩერნოვი და სხვ. ასეთი ხრიკის მეოხებით ბურჟუაზიულმა მთავრობამ არსებითად თითქმის გაინთავისუფლა თავი საბჭოს წინაშე პასუხისმგებლობისაგან; ეს პასუხისმგებლობა ამიერიდან და მხოლოთ ბურჟუაზიულ სამინისტროში მყოფ საბჭოს წარმომადგენლებზე გადავიდა; ფაქტიურათ ეს პასუხისმგებლობა თავისთავათ გაქრა; მაგრამ 3—5 ივლისის ამბების შემდეგ საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი მენშევიკების და ესერების მეთაურობით თავის უფლებებზე სრულებით ხელს იღებს და დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას დიკტატორულ უფლებებს ანიჭებს; ერთი სიტყვით, ბურჟუაზიის დიკტატურა ამიერიდან ფაქტი შეიქნა.

დიკტატორობის განხორციელება ბურჟუაზიას ესაჭიროებოდა თავისი კლასობრივი მიზნების მისაღწევათ: მას უნდოდა იმპერიალისტური ომის გაგრძელება მოკავშირე სახელმწიფოების კაპიტალისტებთან ერთათ, ე. ი. ზავის [illegible] მიუღწევება; მოკლეთ ბურჟუაზიას სწადდა მუშების და გლეხების რევოლიუციის დასამარება.

დროებითი მთავრობის ასეთმა ტაქტიკამ ჩქარა გამოიღო თავის ნაყოფი: 18 ივნისს კერენსკი აცხადებს ახალ შეტევას, ხოლო როცა ამ შეტევას სამარცხვინო შედეგი მოყვა, ბურჟუაზიული მთავრობა, რომელშიაც შედიოდენ მენშევიკების და ესერების ბელადები, ყოფილი მეფის კონტრ-რევოლიუციონერ გენერლების მოთხოვნილებით ჯარისკაცებისთვის ხელახლა აკანონებს სიკვდილით დასჯას; იგივე მთავრობა ილაშქრებს გლეხკაცობის წინააღმდეგ, რომელიც რევოლიუციონური გზით შეეცადა მიწის საკითხის გადაჭრას. დროებითი მთავრობის ყველა ამ კონტრ-რევოლიუციონურ ნაბიჯებს მხარს უჭერდენ და იწონებდენ მენშევიკების და ესერების პარტიები. მაგრამ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა: იმათთვის საჭირო იყო მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოების სრულიათ მოსპობა. კადეტების პარტია კორნილოვის მეთაურობით და თვით „სოციალისტები“ კერენსკის მონაწილეობით ამზადებს შეთქმულებას პეტროგრადის და მოსკოვის მუშების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოების გასანადგურებლათ, რათა ბურჟუაზიამ და მემამულეებმა ძველი წყობილება აღადგინონ როგორც ჯარში, ისე საზოგადოებაში.

მაგრამ ბურჟუაზიულმა მთავრობამ ნამეტანი შორს შესტოპა: მისმა პოლიტიკამ მუშებში და ჯარისკაცებში გამოიწვია უკიდურესი უკმაყოფილება და აღელვება: კონტრ-რევოლიუციონურმა ბურჟუაზიამ და მემამულეებმა აშკარათ წამოყვეს თავი. რუსეთის დიდ რევოლიუციას პირდაპირ განსაცდელი მოელოდა. ახლა აშკარათ დაისვა კითხვა: ორში ერთი, ან მუშების, ჯარისკაცების და გლეხების საბჭოები, ან დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, ე. ი. ან პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხკაცობის დიკტატურა და ან ბურჟუაზიის დიკტატურა. სხვა გზა არ იყო. კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობის ლიკვიდაციის შემდეგ ჯერი მიდგა თვით კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის დამხობაზე. ამიერიდან მუშების, ჯარის-კაცების და გლეხების საბჭოებსა, ერთი მხრით და დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას შორის მეორე მხრით დაიწყო აშკარა ომი. ამავე დროს ხდება პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა ქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების განახლება: მენშევიკების და მემარჯვენე ესერების უმრავლესობა იძულებული შეიქნა ადგილი დაეთმო ბოლშევიკების და რამდენიმეთ მემარჯვენე ესერებისთვის. პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატის და გარნიზონის დიდი უმეტესობა ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. ამ ნაირათ ხალხის დიდი უმეტესობა საბჭოების მხარეზე იყო. საჭირო იყო მხოლოდ ამ ფაქტის სინამდვილეთ გადაქცევა. ამისთვის დაინიშნა საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე სიეზდი, რომელიც უნდა გახსნილიყო 20 ოქტომბერს, მაგრამ ის გაიხსნა 25-ს. სწორეთ ამ დღეს დაემხო კერენსკის მთავრობა; მისი დამხობა უფრო სამარცხვინო იყო, ვინემ მეფობის დამხობა. ამისათვის ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა. მართალია კერენსკიმ შეკრიბა დატყუილებით კაზაკთა რამოდენიმე პოლკი და გაემართა პეტროგრადის წინააღმდეგ, მაგრამ მისი ეს ავანტიურაც კიდევ უფრო სამარცხვინოთ დამთავრდა.

25 ოქტომბრის რევოლიუცია ეს მუშების და გლეხების რევოლიუცია იყო მან წარმოშვა მუშების და გლეხების მთავრობა სახალხო კომისარების საბჭოს სახით.

მუშების და გლეხების მთავრობამ მეორე დღესვე გამოსცა დეკრეტები ზავის და მიწის შესახებ, რომელთა განხორციელებას ის დაუყონებლივ შეუდგება. აქამდის ზავის ჩამოგდებაზე მხოლოთ ლაპარაკობდენ, საქმით კოალიციონური

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

მთავრობა ომს განაგრძობდა და მოკავშირე სახელმწიფოების იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან ახალ საიდუმლო ხელშეკრულებებს ჰკრავდა. ამასთან შინ ჩამორჩენილ მემამულეებისათვის და გლეხ-კაცობრიობისათვის გადაეცემა მხოლოდ სიტყვებს მასალა იყო. მუშების და გლეხების მთავრობამ სიტყვა დაუყონებლივ საქმეთ აქცია. სახალხო კომისარების საბჭოს დეკრეტით მიწაზე კერძო საკუთრება მოისპო; ის მთელი ხალხის საკუთრებათ შეიქნა. მემამულეების უსასყიდლოთ ჩამოერთვა მიწები; სოფლის, საზოგადოების მთელი მიწები სახალხო კომიტეტების ხელში გადადის და ამ მიწებით სარგებლობას ეს კომიტეტები განაგებენ.

სახალხო კომისრების მთავრობამ გამოაქვეყნა მეფის და დროებითი მთავრობის საიდუმლო ხელშეკრულებები, სადაც მან სამუდამოთ ბოლო მოუღო საიდუმლო დიპლომატიას. მუშების და გლეხების მთავრობამ შემოიღო და განახორციელა მუშების კონტროლი წარმოებაზე და ნაწარმოების განაწილებაზე; მან მოახდინა დიდი შენობების და სახლების მუნიციპალიზაცია, რითაც საშუალება მისცა ნესტიან და ცივ სარდაფებში მცხოვრებ ღარიბ ხალხს ადამიანური ცხოვრებისათვის. მან მოსპო უფროს-უმცროსობა ჯარში; ჯარისკაცები გაათავისუფლა, მოახდინა სრული დემოკრატიზაცია და ბოლოს სამუდამოთ მოსპო მუდმივი ჯარი. კიდევ ბევრი სხვა რეფორმები მოახდინა სახალხო კომისრების მთავრობამ, მაგრამ ყველა ამათ ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით; მოვიხსენიებთ კიდევ აქ ერთ ამათგანს, სახელდობრ ერების სრულ თვითგამორკვევის უფლებას დემოკრატიულ საფუძველზე.

[illegible] ბურჟუაზია და მემამულეები ერთი მხრით და აგრეთვე ის პარტიები, რომლებიც ბურჟუაზიასთან შეთანხმებას და მორიგებას ქადაგებენ, მეორე მხრით, მუშების და გლეხების მთავრობის წინაშე უბრძოლველათ იარაღს არ დაყრიდენ. ბურჟუაზია და მემამულეები მენშევიკებთან და მემარჯვენე ესერებთან ერთად დაირაზმნენ სახალხო მთავრობის წინაღმდეგ. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის სათავეში დადგნენ კალედინები, კორნილოვები. ბურჟუაზიის გვერდში ამოუდგნენ დონის და ყუბანის შეძლებული კაზაკები და საერთოთ ყველა წვრილი ერების გაბატონებული კლასები. ბურჟუაზია და მემამულეები.

მათ სამარცხვინოთ, ასევე მოიქცნენ ამიერ-კავკასიის მენშევიკები და ესერები. ესენიც დაუკავშირდნენ აქ არსებულ ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ პარტიებს და მათთან ერთად ჯერ ზურგი შეაქციეს სახალხო კომისარების საბჭოს და შემდეგ მას პირდაპირ ომი გამოუცხადეს ჩვენმა მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა შექმნეს აქ დამოუკიდებელი ადგილობრივი მთავრობა, ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახით, რომელშიაც შედიან ერთი მხრით მენშევიკები და ესერები, მეორე მხრით ნაციონალისტურ-შოვინისტურ პარტიების და მემამულეების ბეგების წარმომადგენლები. ასეთი ნაბიჯით ადგილობრივმა მენშევიკებმა და ესერებმა ამიერ-კავკასია ჩამოაშორეს რუსეთს, ადგილობრივი დემოკრატია, მუშები და გლეხები გამოთიშეს რუსეთის მუშებს და გლეხებს, რომლებიც რუსეთის რევოლიუციას სათავეში უდგანან და მას წინ მიაქანებენ. სამაგიეროთ მენშევიკებმა აქ, ამიერ-კავკასიაში, ნაციონალური საბჭოები და ნაციონალური პოლკები შექმნეს და ამავე დროს ომი გამოუცხადეს კავკასიის ფრონტზე მყოფ რუს-ჯარისკაცებს. ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ამიერ-კავკასიაში რევოლიუციის დაუძლურება; და კონტრ-რევოლიუციის გაძლიერება; მენშევიკებმა დაქსაქსეს ამიერ-კავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატია, ხელს უწყობენ ნაციონალიზმის და შოვინიზმის გაღვივებას. იმავე დროს ისინი უძლური შეიქნენ განეხორციელებიათ რევოლიუციის ძირითადი მოთხოვნები, როგორც მაგ. აგრალური საკითხის გადაჭრა. ამიერ-კავკასიის მთავრობამ მენშევიკების და ესერების მეთაურობით კაპიტალისტებთან და მემამულეებთან დაკავშირებით შექმნა ანარქია და იმავე დროს გააძლიერა ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი. ამ მთავრობას ამიერ-კავკასიის ხალხნი მიყავს დაღუპვისაკენ. ეს მთავრობა, მიუხედავათ თავის რევოლიუციონური ფრაზეოლოგიისა, აშკარა კონტრ-რევოლიუციონურია ის არ სცნობს მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოების ძალა-უფლებას. პირიქით, მას უნდა შებოჭოს და საბოლოოთ დასცეს ეს საბჭოები.

ამხანაგებო წითელ-გვარდიელებო! თქვენ მოგიწვიეს თბილისში რევოლიუციის და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ შენაძენების დასაცავათ. თქვენ უნდა იცოდეთ, თუ რევოლიუციას რუსეთში ვინ უდგას დღეს სათავეში: გლეხების და მუშების ცენტრალური მთავრობა, რომელიც ეყრდნობა მთელი რუსეთის მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტზე, თუ ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომელიც მუშების და გლეხების საბჭოებს ომს უცხადებს და სამა- [illegible] ბურჟუაზიას და ქართველ მემამულეებს უკავშირდება.

ამხანაგებო წითელ გვარდიელებო! ჩვენ ოდნავათაც ეჭვი არ გვებადება იმაში, რომ თქვენ გამსჭვალული ხართ რევოლიუციის დაცვის სურვილით, რომ თქვენ მოწოდებული ხართ დაიცვათ მუშების და გლეხების ინტერესები, რომ თქვენ თავის მიზნათ ისახავთ ინტერნაციონალური დემოკრატიის სამსახურს. აქედან ერთათ ერთი დასკვნა ასეთია: თქვენ უნდა დაგმოთ და პროტესტი გამოუცხადოთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელიც საქმით ხელს უწყობს კონტრ-რევოლიუციის გამაგრებას ამიერ-კავკასიაში, რომელიც ძალით იარაღს ყრის რუს-ჯარისკაცებს, რომელმაც ბეგების დახმარებით გაჟლიტა შინ მიმავალი რუსის ჯარი და რომელმაც დატუსაღება გადაუწყვიტა სახალხო კომისარების მთავრობის წარმომადგენელს კავკასიაში ამხ. სტ. შაუმიანს.

ჩვენი პარტია დარწმუნებულია იმაში, რომ თქვენ, როგორც ხალხის შვილები, როგორც წარმომადგენლები გლეხების და მუშების, მხარს დაუჭერთ და სრულ ნდობას გამოუცხადებთ ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაც მთელი ძალა-უფლება კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას გამოგლიჯა და ის მუშებს და გლეხებს გადასცა.

მაშ, ძირს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები!

სრული უნდობლობა იმ პარტიებს, რომლებიც ბურჟუაზიას და მემამულეებს უჭერენ მხარს და მათთან შეთანხმებით მოქმედებენ!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას გაუმარჯოს სახალხო კომისარების საბჭოს!

გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

კავკასიის საოლქო კომიტეტი და თბილისის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. ბოლშევიკების.

## ნიღაბი აიხადეს.

ჯერ კიდევ ყველას თვალწინ გვიდგას აქსტაფა-შამხორის გულის შემძრწუნებელი ტრაგედია, ის უმანკო სისხლი, რომელიც დაიღვარა ამიერ-კავკასიის ობორონცების პოლიტიკას წყალობით, მაგრამ ჩვენს „შემთანხმებლებს“ არ აკმაყოფილებს ის საზიზღრობა, რომელიც მათ ჩაიდინეს რუსეთის მუშების და გლეხების მიმართ. მათ მოღალატურათ ზურგი შეაქციეს ოქტომბრის დიდ რევოლიუციას. რუსეთის პროლეტარიატის თავ-განწირული ბრძოლა სოციალიზმისათვის ამ ვაჟბატონებმა ავანტიურისტულ შეთქმულებათ, ჯარისკაცთა „ბუნტათ“ მონათლეს. მათ კავშირი შეჰკრეს კალედინ-კარაულოვების რეაქციონურ მთავრობებთან რუსეთის პროლეტარიატის და გლეხობის მთავრობას კი ბოიკოტი გამოუცხადეს.

თათრის ბეგებთან ერთად მათ შეხანხლეს უდღეური კონტრ-რევოლიუციონური კომისარიატი, რომლის თავი და თავი დანიშნულება იყო ყველანაირი ზომები მიეღო პროლეტარულ რევოლიუციის დასამარცხებლათ. ამ მიზანს იგი შეძლების დაგვარათ ემსახურებოდა, კალედინ-კარაულოვებისთვის იარაღის გზავნა, რუსეთში მიმავალ ჯარისკაცების ჟლეტა,—აი ღირსეული ნაყოფი ობორონცულ პოლიტიკის.

კომისარიატი მოკვდა, ის სამარცხვინო ბოძზე გააკრა ისტორიამ. რა გზას უნდა დასდგომოდენ მენშევიკები? ისინი უარს ხომ არ იტყოდენ ბატონობაზე, რომელიც მათ დროებით არგუნა ცხოვრების უკულმართობამ!

დამარცხებულნი ერთ პოზიციაზე, ისინი იძულებული იყვნენ მოენახათ ახალი სიმაგრე, რომელიც მათ სამარცხვინო არსებობას დროებით მაინც უზრუნველყოფდა. ასეთ სიმაგრეთ მათ იცვნეს სეიმი. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება მოკვდა, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის დამფუძნებელ კრებასო. აი ასეთი ლოზუნგით გამოვიდენ ეს ვაჟბატონები, მაგრამ აქაც უმუხთლა მათ ბედმა. სეიმს ეჭვის თვალით შეხედეს როგორც ესერებმა, აგრეთვე დაშნაკელებმაც. ობორონცული ბლოკი დაირღვა, თუმცა მცირე უმრავლესობით მენშევიკებმა თავისი რეზოლიუცია გაიყვანეს, მაგრამ საქმე ხომ კენჭობიაში არ არის!

შეუძლია სეიმს შექმნას მშრომელი ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა!? არა, არ შეუძლია. სეიმი იგივე კომისარიატია, მაშასადამე ამ უკანასკნელსაც პირველის ბედი მოელის. ამას კარგათ გრძნობენ ჩვენი მენშევიკები; ამიტომაც არის, რომ ისინი უკანასკნელ ხანებში დიდ რყევას განიცდიან. „ერთობას“ შეუძლებლათ მიაჩნია საბჭოების ხელში ძალა-უფლების გადაცემა, რადგან ასეთები ყველგან არ არსებობენო. თითქოს შეუძლებელი იყოს ყოველ სოფელში და სამაზრო ქალაქში გლეხთა საბჭოების დაარსება!

მაგრამ მენშევიკები რის მენშევიკები იქნებოდენ, თუ ისინი ასეთ რევოლიუციონურ ნაბიჯს გადადგამდენ!

მოკლეთ, ჩვენებური მენშევიკები თავიანთ რუსეთის თანამოაზრეების მგზავსათ სამუდამოთ გაკოტრდნენ: მათი პოლიტიკური სიკვდილი მოახლოვებულია. დღეს ჩვენ მოწამენი ვართ იმ პროცესის, რომელსაც ყოველი ცოცხალი არსება განიცდის სიკვდილის წინ,—ეს არის აგონია.

სწორეთ მომაკვდავის აგონიას გვაგონებს „სოციალ-დემოკრატის“ უკანასკნელი წერილი, სადაც ის სასოწარკვეთილი მოუწოდებს თავის თანამოაზრეებს, იარაღით ხელში შეებრძოლონ ბოლშევიკებს, რომ დაიცვან რევოლიუციის მონაპოვარი! „დღეიდგან ჩვენ უნდა უარვყოთ მოგერიებითი ტაქტიკა“, გვაუწყებს ეს, უკაცრავათ პასუხია, გაზეთი, „და თავდასხმის ტაქტიკა ვაწარმოვოთო“.

როგორ მოგწონს, ძვირფასო მკითხველო, ეს სიტყვები? ვის წინააღმდეგ აპირებენ იარაღის აღებას ეს უშიშარი რაინდები? ბოლშევიკების წინააღმდეგ? მაგრამ ბოლშევიკები ხომ იგივე მუშები და გლეხები არიან.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მენშევიკებმა უკვე აიხადეს ნიღაბი. დღეს ყველასათვის ცხადია მათი საზიზღარი ზნეობრივი სიტიტვლე.

„კავშირი ბურჟუაზიასთან, ბრძოლა მუშების და გლეხების წინააღმდეგ,—აი როგორია მათი ნამდვილი ლოზუნგი!

ამხანაგებო მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო! ზურგი აქციეთ ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს.

შემოკრბით პროლეტარულ—ბოლშევიკურ დროშის ქვეშ, რომელზედაც ისევ ის ლოზუნგებია, რომელსაც თქვენ კარგათ იცნობთ:

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

კოლია ებრალიძე.

## პატარა ფელეტონი.

### დიქტატურა.

კუპრივით შავი დღე გათენდა. მზის ნაცვლათ გეგეჭკორის ახოვანი ცხვირი იყო ცაზე ჩამოკიდებული, რომელიც თითო დაცემინებაზე ხუთ-ხუთ ზარბაზანს ისროდა ერთათ ანარქიის შესამუსრავათ. თბილისის ქუჩებზე ურცხვათ გამოსული და მოთარეშე ანარქია—კონტრ-რევოლიუცია შიშის ზარმა აიტანა და შეძრწუნებული სოროებში მიიმალ-მოიმალა. საფლავშიაც ძვირათ მყარდება ის მყუდროება, რომელმაც ერთბაშათ მოიცვა თბილისის ქუჩები.

გეგეჭკორი დიქტატორათ გამოცხადდა და ამ დღიდან დაიწყო ახალი ერა ამიერ-კავკასიის ისტორიაში.

მუდამ ურჩი და გალაღებული ბოლშევიკების წრე ცოტა არ იყოს შეირყა. პირველათ ახლა შეიჭრა იქ შიშის ქარი და ძველი რეჟიმის სუნი უხვათ აყნოსა გადაჩვეულ ხალხს. ფილიპე მახარაძემ გადასწყვიტა, თუ ხვალაც გაგრძელდებოდა ეს ამბავი, უეჭველათ დაემოკლებია თმა და წვერი, რომ ამით თვალები აეხვია არსებული წყობილების დამცველი აგენტებისთვის. მიხა ცხაკაია კი მაშინვე გადასახლდა ძველ კონსპირატიულ ბინაზე, სადაც ერთი თვის საგზალი ჟურნალ-გაზეთები გამტვერიანებულ უფეხო სტოლზე დაალაგა. უფრო ახალგაზრდები კი ვერ მიხვდნენ მომენტის სიდიადეს და მიუტევებელი უზრუნველობით გაიძახოდენ: დიქტატორათ ლენინსაც არ ვიცნობთ. გეგეჭკორი რას გვიქვიან!

გეგეჭკორი კი ახლა უცნობდა გემოს თვითმპყრობელურ ძალა-უფლებას და თანდათან იშტაზე მოდიოდა.

სარკესიდან იღება, სახის ახალ გამომეტყველებას იმუშავებდა მდგომარეობის შესაფერ კუპლეტებს მღეროდა: Достигъ я высшей власти, я премьеръ, я диктаторъ...

მოულოდნელათ მოიხედა და დაინახა, რომ დარბაზი უკვე ავსებულიყო მისი ძველი ნაცნობებით, რომლებიც სტოლს შემოსხდომოდენ და დიქტატორის სამოქმედო გეგმას იმუშავებდენ. აქ იყვნენ ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ჯუღელი და სხვები.

— ბიჭოს! ამათ რაღა უნდათ? ალბათ, სწადიათ, სახელი ჩემი იყოს, სახრავი კი მაგათი.

მეტადრე არ მოეწონა ნ. რამიშვილის სახე, რომელზედაც ეწერა: სამხედრო მინისტრობას ცოცხალი თავით არავის დაუთმობო.

— ევგენი, ევგენი, შენც მიიღე მონაწილეობა, ჩამოჯექი აგერ,—მიმართა მას უცერემონიოთ რამიშვილმა.

დიქტატორი დამორჩილდა. აღძრულ საკითხზე ვალიკო ჯუღელმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ასე გაათავა: მაშასადამე, რომ ბალშევიკების სინსილა გაწყდეს, ისინი ყველა უნდა ჩამოვახრჩოთ, უამისოთ მათზე გავლენას ვერ მოვახდენთ,—მე მათ თქვენზე უკეთ ვიცნობ.

— შენ აქ ლაპარაკობ და მე უკვე ზომებიც მივიღე, სთქვა დიქტატორმა. ის კი მართალია, რომ შენ უკეთ იცნობ ბალშევიკებს, დიდი ხანი არ არის ხომ, რაც შენ მათ უღალატე!

ვალიკოს არ იამა მოღალატეობის წამოძახება და თავისი პრესტიჟის აღსადგენათ მორიგი სკანდალი გაითამაშა, რის შემდეგ სხდომამ კვლავ ნორმალური მსვლელობა მიიღო.

— დასმულია საკითხი, ვინ ჩამოვახრჩოთ პირველათ, განაცხადა თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ.

— ფილიპე მახარაძე, ფილიპე მახარაძე! ერთხმათ იგრიალეს ყველამ და ყველაზე ძლიერათ კი ამ სიტყვებს თვით დიქტატორი სჭექდა.

თავმჯდომარემ მტკიცეთ განაცხადა: ვერა, ფილიპეს ვერ დაგითმობთ. რაც გინდა იყოს, ის გურულია, გურული კი, ლენინიც რომ იყოს, დასახჩობათ არ უნდა გავიმეტოთ.

—ჩამოვარჩოთ მიხა ცხაკაია შეიტანა წინადადება ჯუღელმა. ჩამოვარდა ცოტა ხნის სიჩუმე.

—რას იტყვი, ნოე ნიკოლაევიჩ! შეეკითხა დიქტატორი ჟორდანიას.

—მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუ სხვა კანდიდატი არ არის, შევჩერდეთ მიხაზე.

—მიხას კიდევ მე ვერ დაგითმობთ— განაცხადა დიქტატორმა. მახარაძე თუ გურულია, ცხაკაია მეგრელია. გარდა ამისა, შენ თითონ გითქვამს, ნოე ნიკოლაევიჩ, რომ ცხაკაია შენი მასწავლებელიც იყო. აბა როგორ ჩამოვახრჩო შენი მასწავლებელი.

მიხას კანდიდატურაც მოიხსნა.

სწვდენ შაუმიანს და კუზნეცოვს.

—მაგათზე ლაპარაკიც არ შეიძლება, განაცხადა თავმჯდომარემ, მაგათ რომ სხვისი ხელითაც რამე დაუშავდეს, დიდ უბედურებას შევემთხვევით. ლენინი უეჭველათ ჩვენ დაგვაბრალებს და მაშინვე ომს გამოგვიცხადებს; ჩვენ კი ჯერ მობილიზაცია არ დაგვისრულებია, საომრათ მზათ არა ვართ.

გადაქექეს სხვა კანდიდატებიც. მაგრამ ზოგი გურული აღმოჩნდა, ზოგი მეგრელი, ზოგს ჟორდანია ექომაგებოდა, ზოგს გეგეჭკორი. იძულებული შეიქნენ გადასულიყვნენ სომეხ - ბალშევიკებზე, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს გზა სახიფათო იყო: სომხის ერს ეწყინება და მეზობელ სახელმწიფოსთან დამოკიდებულება ასე ადრე არ უნდა გავამწვავოთო.

ბოლოს ბალშევიკების ჩამოხრჩობის საკითხი მთლათ მოისპო.

—მაშ რითი აღვნიშნოთ შენი გადიდკაცება,—მწარე ირონიით შეეკითხა რამიშვილი დიქტატორს.

მან დაცინვას ყური არ უგდო მოუცლელობის გამო და დააყენა საკითხი პანაშვიდის შესახებ.

—ჯერ ერთი მე გთხოვთ, რომ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ კალედინის ხსოვნას. მეორეც, ჩემი დიქტატორობის აღსანიშნავ პირველ ნაბიჯათ საუკეთესო იქნება გადავიხადოთ პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლათ სობოროში ყველა ნაციონალური პოლკების თანადასწრებით. ბალშევიკებისთვის მერეც მოვიცლი.

—ვინ შეასრულებს პანაშვიდის წესს? იკითხა თავმჯდომარემ.

—რასაკვირველია, ქართველი კათალიკოსი.

—საქმე იმაშია, რომ ეს ეწყინებათ სომხებს და თათრებს. იტყვიან, ჩვენ რა თქვენზე ნაკლებათ ვსცემდით პატივს კალედინსო.

— რა უბედურობაა, წყენით განაცხადა დიქტატორმა. ერთი ნაბიჯი ვერ გაგვიკეთებია, რომ არავის ეწყინოს. ამ შეჩვენებულ ბალშევიკებს არც ღმერთი სწამთ, არც ხატი, არც ბერი და არც ერი და მათში სომეხიც, ქართველიც, თათარიც და რუსიც ყველა მწყობრათ მოქმედებენ, არც არავის წყენის ეშინიათ, არც არავის ხათრი აქვთ.

დიქტატორს სიტყვა გააწყვეტინეს. გადაწყდა: კალედინზე გადახდილ იქნას პანაშვიდი ქართულათ; ეცნობოს სომხებს და თათრებს, რომ ისინი „ოჩერედში" არიან ჩაწერილი და როგორც კი გამოაკლდება ამ ქვეყანას კალედინისთანა მსხვილი კონტრრევოლიუციონერი, ისინი მიიღებენ თავის ულუფას. პანაშვიდზე სიტყვის თქმა მიენდო თითონ გეგეჭკორს, ნეკროლოგის და სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა კი „ერთობის" სარედაქციო კოლეგიას.

## მიტინგი

ევროპის სოციალისტური რევოლიუციისადმი მისასალმებლათ.

ჩვენი პარტიის საოლქო კომიტეტის დადგენილებისამებრ კვირას, 4 თებერვალს გაიმართა მისალმების მიტინგი „აპოლოს" კინემო-თეატრში და ალექსანდრეს ბაღში.

ორივე ალაგას, განსაკუთრებით თეატრ „აპოლოში" დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ეტყობოდა, რომ მასა მეტათ დაინტერესებული იყო ბალშევიკების მიერ მოწყობილ მიტინგით. ხალხით გაჭედილი აუდიტორია სულგანაბული უსმენდა ორატორებს, რომელთა სიტყვებს აღფრთოვანებით ეგებებოდა. მიტინგი იყო გამართული ევროპაში სოციალისტური რევოლიუციის დაწყების მისასალმებლათ. აუდიტორიაში ამ რევოლიუციის წინამძღოლ-ლიდერების-კარლო ლიბკნეხტის და ლენინის-ყოველ ხსენებაზე მქუხარე ტაშის ცემა ისმოდა. ილაპარაკა ათამდე ორატორმა. მეტათ ღრმა და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი გამოცდილის, ბრძოლაში გამობრძმედილის ძველი რევოლიუციონერის, მიხა ცხაკაიას მგზნებარე სიტყვამ. მისი მელოდიური ხმა მკაფიოთ გაისმოდა მთელ დარბაზში და ყველას გულს იმედით და ნუგეშით სწვდებოდა.

მას ხალხი ოვაციით შეხვდა და ოვაციითვე გაისტუმრა ტრიბუნიდან. მან ნათლათ დაუხატა მსმენელთ, თუ რამდენათ აუცილებელი იყო სოციალისტური რევოლიუცია ევროპაში და როგორ შეუწყო ხელი ამას რუსეთის ძლევა-მოსილმა რევოლიუციამ, რომელმაც ბურჟუაზიული ქვეყნის საზღვარი პირველმა გადალახა და ევროპას სოციალისტური რევოლიუცია მიუძღვნა—დაამყარა საქვეყნოთ ძალა-უფლება გრანდიოზული საბჭოსი—მუშათა, სალდათთა და გლეხთა. ამის გამო დღეს ეჭვიც არ შეგვაქვს იმაში, რომ სოციალისტური რევოლიუცია ევროპაში სრულიად გაიმარჯვებს.

ამხ. მიხა მასზე წინათ მოლაპარაკე ანარქისტ ორატორსაც შეეხო, რომელმაც ხალხს ფაბრიკა-ქარხნების სოციალიზაციაზე მიუთითა და სახალხო კომისარების საბჭოს ძალა-უფლება აღიარა. ამხ. ცხაკაიამ ამის გამო თანამგრძნობ, მომხრე ანარქისტებს უსურვა, რომ მათ ახლა მაინც შეეგნოთ თავიანთი შეცდომა, რასაც მათი ლიდერები ქადაგებდენ, სხვათა შორის მათი პირველი მოციქული მიხეილ ბაკუნინი, წევრი პირველი ინტერნაცინალისა და მოპირდაპირე კარლ მარქსისა. ეს შეცდომა მდგომარეობს სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების უარყოფაში, ანარქიზმის მთავარ დებულებაში, თითქო საზოგადოებას უმთავრობოთ, ძალა-დამტანებელი უორგანოთ შეეძლოს ცხოვრების მოწყობა, ე. ი. იყოს სრულიათ განუსაზღვრელი თავისუფალი კოლექტივი.

შეკითხვაზე, თუ რატომ უარყოფენ ბალშევიკები სომხების ნაციონალური პოლკის შედგენას, მაშინ როდესაც ერთი მხრით სომხეთს თვით გამორკვევის სრულ უფლებას ანიჭებენ, ხოლო მეორე მხრით სომხეთის ფრონტიდან ჯარები გაჰყავთ, ორატორმა უპასუხა, რომ ჯერ ერთი ამ დეკრეტებით ბალშევიკებმა ქვეყანას უჩვენეს, რომ ერის თვით გამორკვევას ისინი მარტო სიტყვით კი არ აღიარებენ, არამედ საქმითაც. მეორე მხრით ჯარების დატოვებას სომხეთის ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის სურვილს და ძალდატანებას მიაწერდენ მტრები. ნაციონალური პოლკების შექმნა მანამ ვიდრე სომხეთის კითხვა პრაქტიკულათ არ გადაჭრილა, მხოლოდ კონტრ-რევოლიუციას უწყობს ხელს, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში და ინტერნაციონალურ გვარდიის პრინციპს ეწინააღმდეგება. რითაც ინტერნაციონალიზმს ამიერ-კავკასიაში ძირს უთხრის.

დასასრულ მიტინგმა მიიღო ერთხმათ (წინააღმდეგი მხოლოდ ორი ხმა აღმოჩნდა) რეზოლიუცია, რომლითაც იგი გულმხურვალეთ და აღფრთოვანებით მიესალმება ევროპაში სოციალისტურ რევოლიუციის დასაწყისს და კარლლიბკნეხტის განთავისუფლებას; ამავე რეზოლიუციით მიტინგმა უნდობლობა გამოუცხადა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, როგორც კონტრ-რევოლიუციონურ ორგანოს და რუსეთიდან ჩამომშორებელს კიცხვა და გმობა შეუთვალა მას და რუსეთის მიმავალი არმიისადმი ანტი-დემოკრატიულ და ვერაგულ მოპყრობისათვის და ინტერნაციონალური განწყობილების დარღვევისათვის ამიერ-კავკასიაში.

### საპროტესტო მიტინგი.

თბილისში წასულ ოთხშაბათს, 31 იანვარს, ალექსანდრეს ბაღში ტყავზე მომუშავეთა პროფესიონალურმა კავშირმა გამართა დიდი საპროტესტო მიტინგი. გამოვიდნენ ორატორები ამხ. ვარდენიანცი, ერინციანი, კამალოვი, დეროვი ოსეპიანცი და სხვ.

მიტინგის დასასრულ ერთხმათ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

1) „ჩვენ ტყავზე მომუშავენი ქ. თბილისისა, ვაღიარებთ, რომ ერთათ ერთი მთავრობა რომელსაც, ძალუძს გადაჭრას კითხვები ზავისა, მიწისა და სხვები, არის მთავრობა მხოლოთ სახალხო კომისარების საბჭოსი.

2) ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამიერ-კომისარიატის დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც ამხ. შაუმიანის განდევნას შეეხება და რომელიც კონტრ-რევოლიუციონურ ღონის ძიებათ უნდა ჩაითვალოს.

3) ამიერ-კავკასიაში კონტრ-რევოლიუციონურ როლს ასრულებენ ამიერ-კავკასიის კომისარიატი და ნაციონალური საბჭოები; ისინი ანტიდემოკრატიულ მოღალატურ საქმეს აკეთებენ ჩვენში, როცა დემოკრატიის ერთ ნაწილს უსიანებენ მეორე ნაწილის წინააღმდეგ.

4) შოვინისტიურმა ბურჟუაზიამ ამიერ-კავკასიის კომისარიატთან ერთათ ფრონტიდან ადგილობრივ მკვიდრთა გამოწვევით და მათგან ნაციონალური პოლკების შედგენით ერთი ხელი შეუწყო ფრონტის დაცლა-დეზორგანიზაციას, მეორე ჩვენი მხარე მოსწყვიტა რუსეთს და დემოკრატია გამოთიშა რუსეთის დემოკრატიას.

პროტესტს ვუცხადებთ მენშევიკ-ესერების და დაშნაკელების ობორონცულ პოლიტიკას, რომელსაც ხალხი ნაციონალურ მტრობა-შუღლისაკენ მიყავს და ხალხთა ურთიერთ ჟლეტას იწვევს; ვუარსაყოფთ, როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატს, ისე მკვდრათ დაბადებულ სეიმს, და სალამს ვუძღვნით ამხ. შაუმიანს, როგორც რუსეთის სახალხო კომისარების საბჭოს წარმომადგენელს".

რეზოლიუციის წაკითხვისა და მიღების შემდეგ მიტინგმა ამ. შაუმიანის სახელის პატივსაცემლათ, როგორც საგანგებო კამისარისა. საზეიმო ოვაცია გამართა. ამავე მიტინგზე გადაწყდა, რომ კვირას, 4 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში ისევ გაემართათ მეორეჯერ მიტინგი.

### რეზოლიუცია—პროტესტი.

ჩვენ, მეშვიდე ქართული პოლკის სალდათები, უცხადებთ სასტიკ პროტესტს ამიერ-კავ. კომისარიატს გეგეჭკორის თავმჯდომარეობით, რომელმაც მოახდინა განკარგულება სახალხო კომისარების საბჭოს მიერ დანიშნულ კავკასიის კომისარის—ამხ. შაუმიანის დაჭერის შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ ობორონცულ მთავრობისაგან, რომ ხელი არ ახლონ ამხ. შაუმიანს, რომელსაც მოუწოდებთ დარჩეს თავის ადგილზე. ვუცხადებთ სრულ ნდობას სახალხო კომისარების საბჭოს და სრულ უნდობლობას ამიერ-კავკ. ობორონცულ - კონტრ-რევოლიუციონურ საბჭოს.

2 როტის კომიტ. წევრი: ავაშვილი (?)
3 როტის კომიტ. წევრი: აბესაძე,
1 როტის კომიტ. წევრი: ბურჭულაძე.

## დეპეშები.

### საბჭოები დონის მხარეში.

დონის ყაზახთა და არა ყაზახთა გაერთიანებულმა მთავრობამ, რაკი ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში შველა და დახმარება ვერ პოვა ვერც ყაზახობის და ვერც სხვა მცხოვრებთა მხრიდან, თანამდებობიდან გადადგა და ძალა-უფლება თვითმართველობის ორგანოებს და მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს გადასცა.

…ამის შემდეგ, 29 იანვარს, კალედინმა, რაკი კაზაკების მხრით უნდობლობა დაინახა, გამარჯვების იმედი დაკარგა და რევოლვერით თავი მოიკლა.

პ ე ტ რ ო გ რ ა დ შ ი სრულიათ რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლეხთა მესამე სიეზდი იანვრის შუა რიცხვებში დასრულდა. სულ გადამწყვეტი ხმით 650-დე დეპუტატი შეიკრიბა. თავმჯდომარეობდა ამხ. სვერდლოვი. სხდომა გაიხსნა „ინტერნაციონალის“ სიმღერით. სიეზდმა დასასრულ აირჩია ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც შევიდენ ყველა სოციალისტ ინტერნაციონალისტურ პარტიების წარმომადგენლები შემდეგი პროპორციით: ბალშევიკები 160, მემარცხენე ესერები 125, მაქსიმალისტ ესერები 7, ზომიერი ესერები 7, გაერთიანებული ესერები და ინტერნაციონალისტები 3, ანარქისტები 4. ასე რომ ოპოზიცია სულ რამდენიმე კაცისგან შესდგება, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი შედიან იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ უმრავლესობას შიგნიდან. კომიტეტში არჩეული არიან „ინტერნაციონალისტების“ ცნობილი ლიდერები: მარტოვი და სუხანოვი.

ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ ე ლ ე გ ა ც ი ე ბ ი. ბალშევიკებმა საგანგებო დელეგაციები გაგზავნეს ევროპაში ინგლისში, საფრანგეთში და შვეიცარიაში რომ პირდაპირი ურთიერთობა დაიკავონ ევროპის მუშათა დემოკრატიულ მასასთან.

რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი. ს ტ ო კ ჰ ო ლ მ შ ი. პოლიტიკურმა გაფიცვამ გერმანიაში გრანდიოზული სახე მიიღო, ასე რომ ავსტრიის გაფიცვამ გადააჭარბა კიდეც. წასულ სამშაბათს, მაგალითად, ბერლინში გაფიცულთა რიცხვი ნახევარ მილიონამდე ავიდა-ოფიციალურ ორგანოებში ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, განზრახ ამცირებენ და ხელს აფარებენ; მაგრამ სხვა წყაროებიდან აშკარათ სჩანს რომ ეს პროცესი დღითი დღე ვითარდება: მოძრაობა უკვე პროვინციასაც მოედო, რკინის მხარეში და პრუსიის ოლქებში ბრძოლა გაჩაღდა. ბერლინში მუშათა დეპუტატების საბჭო უკვე შედგა. საბჭომ 4 მუხლისგან შემდგარი მოთხოვნა წამოაყენა: 1) საყოველთაო დემოკრატიული ზავი 2) პრუსიის ლანდტაგის საყოველთაო საარჩევნო უფლების დაკანონება; 3) მუშათა მოძრაობის დატუსაღებულ წინამძღოლთა და მუშების დაუყონებლივი განთავისუფლება; 4) სურსათის განაწილების სისტემის შეცვლა.

## პროვინციის ცხოვრება.

ქ. გ ო რ ი. 2–3 თებერვალს ადგილობრივი ბალშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ქ. გორში მოხდა სამი მიტინგი: მეოთხე ქართულ პოლკის სალდათთა, გორელ მოქალაქეთა და მესამე — გორის ახლო-ახლო მდებარე სოფლებიდან იხრალისთვის ჩამოსულ გლეხებისა, გორელ მოქალაქეთა და ქართველ სალდათთა ერთად. ამ მიტინგს დაესწრა დაახლოვებით 400–800 კაცამდე. სალდათთა მიტინგს თავმჯდომარეობდა ჯარის კაცი ამხ. არ. ნოდია, დანარჩენ ორ საერთო მიტინგს — ამხ. შატუნოვი.

მიტინგებზე მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე ამხ. თ. კალანდაძემ ბალშევიკების საოლქო ცენტრის დავალებით. ორატორი ვრცელათ შეჩერდა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, დაწვრილებით დაახასიათა ოქტომბრის პროლეტარულ-გლეხურ რევოლიუციის შინაარსი და მნიშვნელობა, მისი ძლევა-მოსილება რუსეთში, მისი როლი საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციაში. ორატორმა ხაზი გაუსვა ობორონცების მოღალატობრივ როლს, როგორც რუსეთში, ისე აქ, ამიერ-კავკასიაში ობორონცულ-ნაციონალისტურ კომისარიატის მეთაურობით. ორატორმა მოუწოდა ჯარის-კაცებს, მუშებს, გლეხებს და სხვა მოქალაქეთ დაირაზმონ ოქტომბრის რევოლიუციის დროშის ქვეშ და სამკვდრო სასიცოცხლო ომში მიიტანონ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. რომელმაც ობორონცების წყალობით თავი წამოყო ამიერ-კავკასიაში.

ჯარისკაცთა მიტინგზე მომხსენებლის წინააღმდეგ არავინ არ გამოსულა და მისგან წამოყენებული რეზოლიუცია ერთხმათ იქმნა მიღებული. მეორე მიტინგმა, სადაც მომხსენებელს გამოეკამათა ერთი მენშევიკი (სამწუხაროთ მას ხალხმა სიტყვა ვერ დაათავებია, როგორც მენშევიკს) ერთხმათ მიიღო იგივე რეზოლიუცია ორის წინააღმდეგ. მესამე, ყველაზე უფრო მრავალ-რიცხოვან და მნიშვნელოვან მიტინგზე მომხსენებელს გამოეკამათენ ორი ადგილობრივი მენშევიკების ლიდერები — კეცხოველი და ჯავახიშვილი. პირველმა ოპონენტმა თვალებზე ცრემლით ილაპარაკა ბალშევიკების მიერ ტლანქი ძალით გარეკილ დამფუძნებელ კრების შესახებ, რომელიც გამოხატავდა ხალხის უზენაეს ნება-სურვილს. მეორე ორატორმა ილაპარაკა უფრო მორცხვათ და დიპლომატიურათ (მან ვერ აღიარა თავის მენშევიკობა) და ხაზი გაუსვა ორ გარემოებას: დაიწყო ოხვრა-გოდება ე. წ. სამოქალაქო ომის, ძმათა შორის სისხლის ღვრის გამო და მოუწოდა ხალხს: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლეთ იმათ, ვინც მოინდომებს წაგართვან თქვენი ოფლით და სისხლით მორწყული მემკვიდრეობით გადმოცემული თქვენი საკუთრება — ყანა, ბაღჩა, ვაზი და სხვათ. ჯავახიშვილმა ამნაირათ გაილაშქრა ბალშევიკების წინააღმდეგ, როგორც სოციალისტების, რომელთაც სურთ საკუთრება მოსპონონ!

მომხსენებელმა უკანასკნელ სიტყვაში სულ ადვილათ გააბათილა ამ ცრუ სოციალისტების „საბუთები“. საყურადღებოა ის, რომ მიუხედავათ კამათისა, მიტინგმა თითქმის ერთხმათ, 17 წინააღმდეგ, მიიღო ბალშევიკური რეზოლიუცია

სამივე მიტინგზე იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„სახალხო კომისარების საბჭო წარმოადგენს ნამდვილი სახალხო მთავრობას რომელიც თავგანწირულათ, ემსახურება ყველა მშრომელთა და გაყვლეფილთა ინტერესებს და რომელიც აწარმოებს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის და მისი დამქაშების წინააღმდეგ, 2) ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ოქტომბრის რევოლიუციის სრულ გამარჯვებამდე მიყვანა, არის მუშ. სალდ. და გლეხების დეპუტატების საბჭოები, რომელთა ხელში არის სრული სახელმწიფო ძალა-უფლება. 3) ოქტომბრის რევოლიუცია არის რევოლიუცია მუშების, სალდათების და გლეხების, რომლის (რევოლიუციის) სრული გამარჯვება შექმნის რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკას, შრომის რესპუბლიკას, როცა აღარ ექნება ადგილი ადამიანის მიერ ადამიანის, კლასის მიერ კლასის გაყვლეფა-დამონავებას, როცა დამყარდება ნამდვილი, პროლეტარული ძმობა ერთობა, თანასწორობა. 4) ამიერ-კავკასიის ობორონცულ-ნაციონალისტურ კომისარიატის პოლიტიკამ, რომელიც ფაქტიურათ ზურგს უმაგრებდა კონტრრევოლიუციას ჩრდილო კავკასიაში და ხელს უწყობს ეხლა კონტრრევოლიუციის გაღვივებას ამიერ კავკასიაშიაც, ამ პოლიტიკამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა; ამ პოლიტიკამ გამოიწვია შამხორ-განჯის ამბები. 5) ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ, რომელმაც დაადგინა ამხ. შაუმიანის დატუსაღება, რომელიც დანიშნულია კავკასიის კომისრათ სახალხო კომისარების საბჭოს მიერ. 6) ერთად ერთი საშვალება, რომელსაც შეუძლია იხსნას დემოკრატია და რევოლიუცია ჩვენში, მდგომარეობს იმაში, რომ გადაყენებულ იქნას ობორონცული კომისარიატი და მოხდეს სრული ძალა-უფლების მუშ., სალ. და გლ. დეპ. საბჭოების ხელში გადასვლა. 7) ჩვენ ვცნობთ ერთად ერთ ცენტრალურ მთავრობას — სახალხო კომისარების საბჭოს, რომელსაც აღუთქვამთ ენერგიულ დახმარებას.

გაუმარჯოს სახალხო კომისარების საბჭოს!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას!

უძღვნით ცხარე სალამს რუსეთში მიმავალ კავკასიის რევოლიუციონურ ჯარისკაცებს!“

დ ა მ ს წ რ ე.

ს ა დ გ უ რ ი ს რ ა ი ო ნ ი. 30-ს შესდგა კრება მთელი პირველი განყოფილების აგენტებისა, დაესწრნენ დაწყებული კანტორჩიკებიდან მოძრაობის უფროსამდის. დღიურ წესრიგში იყო: პროფესიონალური კავშირის სექციის დაარსება 2) კომიტეტის რეორგანიზაცია და აგენტებიდგან წარმომადგენლის გაყვანა. თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. კარდელაკი, თანაშემწედ ს. მელია მდივნათ მ. ჩუბინიძე.

კრებაზე აგრეთვე დაესწრნენ ქუთაისის რკინის გზის კომიტეტის ყველა წევრებიც. სხვა კომიტეტებიდგან კი თითო წარმომადგენელი. ცოტა კამათის შემდეგ სექციის გამგეებად აირჩიეს 13 კაცი, ცხრა მათგანი მენშევიკების. კრებაზედ ანარქია იყო გამეფებული, ყვირილი, მუშტი-თამჯდომარესთან მთელი ჯგუფის მივარდნა და სტოლზე მუშტების რახუნი ხშირი იყო, მენშევიკებმა მათი გრძელი ენით და მელური სქციელით ხშირად აღელვებაში შეიყვანა კრება. ლ. კუპრაშვილი თავისი იოსებ გოგობერიძით და ბ. უგულავათი გაჰკიოდნენ და შინაარსიანი .არაფერი გამოდიოდათ — კრება მათ არ უყურებდა და ისინიც სისხლიდგან იცლებოდნენ-ლიბრაშვილი, ეს უკიდურესი მენშევიკი ბევრს დაექადნა (я тебѣ накажу) მაგრამ არ იქნა და არა, მას არავინ უჯეროდა.

საერთოდ კი მთელ ქუთაისის გუბერნიაში მენშევიკებს სახელი და ნიადაგი ეცლებათ, ამას იგინი გრძნობენ და უკანასკნელ ძალას ხმარობენ. დავიჭირავ, ციხეში ჩაგაგდებ, გაგრომზგავ, — აი მათი უკანასკნელი ლოზუნგი.

გასაკვირია, არაა თუ ხალხი თანდათან გამოირკვა დ მიხვდა ვინ არის მისი ნამდვილი მოყვარე — მენშევიკები, თუ მართლა სწორ-გზაზედ მიმავალი და თავდადებული ბალშევიკები. მართლაც ყველა მენშევიკების ორგანიზაციებში შეხვდებით საჩივრებს: გვატყუებენ მენშევიკები ძველი კანდრების ტაქტიკას თანდათან ახორციელებენ და ბალშევიკების პარტიაში უნდა გადვიწეროთო და ეს ელვის სისწრაფით ვრცელდება ყველა ორგანიზაციებში. დროა ხალხი მართლა გამოირკვეს, და მიეკედლოს მართლა კეთილ საიმედო ბალშევიკების პარტიას.

მ. ნ.

## კალედინი

კალედინის თვით მკვლელობაზედ ლაპარაკობენ... ზოგიერთი მისი მომხრეები კი უარს ამბობენ „რაც ის [illegible]“. მაგრამ აშკარაა, მას თავი აქამდი უნდა მოეკლა, ის უკვე გრძნობდა. რომ ორ ცეცხლ შუა, ორ საშინელებას შუა იყო მოქცეული..

მან უკვე დაინახა რა ძლიერებით ეკვეთა მის ჯარს რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობის ფხიზლი ლაშქარი. მან უკვე იგრძნო, რომ იგი მალე რკალ შემორტყმული რჩებოდა. მან იგრძნო, რომ ამიერ-კავკასიის [illegible] ვეღარ ეხმარებოდნენ მას, დიდი იმედი ქონდა აქაური კონტრრევოლიუციონერების...

მან გაიგო, რომ გაკოტრდა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელმაც ბევრნაირი ტყავი გამოიცვალა.....

მან გაიგო, რომ უკვე აღსასრულის წინაზე დგანან იმსი მოკავშირეები. და მან არჩია ხალხის შეუპოვარ მსჯავრს და რუსეთის პროლეტარიატის წინაშე დაჩოქებას თავი თვით გაესამართლებია....

მან კარგად იცოდა, რის ღირსიც იყო და აღარ გაასვრევინა რუსეთის თავისუფლებისთვის მებრძოლს უმანკო ხელი თავის უწმინდურ სისხლში...

კალედინშა გამოასალმა თავის თავი სიცოცხლეს, რითაც დიდი იმედი დაუკათგა ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებს, რომლებიც აცახცახებულნი შველას არსიდგან აღარ ელიან და ლამისაა მათაც კალედინს წაბაძონ.

სულ ერთია, ხალხი მათ თავის მსჯავრს დასდებს არწყინვალე რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ. რომელიც უკვე მოახლოვებულია და რომლის აღითაც იგინი უკვე გარუჯული არიან.

წინეთ „უპარტიო“.

## განცხადებები.

„ბრძოლის“ რედაქციასთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება რედაქციაში ყოველ დღე დილის 11–12 საათზე.

ოთხშაბათს, 7 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, კავშირის შენობაში, პეტრედიდის ქუჩაზე № 8, დანიშნულია დელეგატების კრება „ნემსის პროლეტარების“ პროფესიონალური კავშირისა.

ვინაიდან გადასაწყვეტია მნიშვნელოვანი საკითხები, ყველა დელეგატების ასწრება სავალებულოა.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალ.) თბილ. ორგანიზაციების კომიტეტების ბიუროების ადრესები:

საქალაქო კომიტეტის: განოვის ქ. № 3 („ბრძოლის“ რედაქცია ტელეფონი 3–11 კომიტეტის მდივანი იმყოფება დილის 10 საათ. ნაშ. 2 საათამდე საღამოს 6–8 საათ.

I რაიონის: ჩერქეზოვის ქუჩა № 135 მდივანი იმყოფება საღამოს 5–8 საათამდე.

II რაიონის: ელისაბედის ქუჩა № 1 მდივანი იმყოფება საღამოს 6–8 საათამდე.

ოსთა ორგანიზაციის „ჩერმეჯის“: ჩერქეზოვის ქუჩა № 135 მდივანი იმყოფება საღამოობით 5–8 საათ.